რისკების შეფასება და მართვა, როგორც ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა უსაფრთხოების დაცვის წინაპირობა

გრიგოლ კერესელიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

ხელმძღვანელი: გოგა ხატიაშვილი, სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023 წელი

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გრიგოლ კერესელიძე

16.06.2023 წელი

მადლობა

დიდი მადლობა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და აკადემიურ პერსონალს მიღებული განათლებისა და საინტერესო გამოწვევებისთვის. უღრმესი მადლობა ჩემს ხელმძღვანელს, ბატონ გოგა ხატიაშვილს დაუღალავი შრომისათვის. ბატონი გოგას დახმარებისა და ხელმძღვანელობის გარეშე ამ ნაშრომის შექმნა შეუძლებელი იქნებოდა.

მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს ოჯახს მხარდაჭერისათვის. გულწრფელი მადლობა ჩემს მშობლებს, და-ძმას, ძმიშვილ-დიშვილებსა და მამიდაჩემს. რა თქმა უნდა, მათ გარეშე ბევრ რამეს ვერ შევძლებდი. უღრმესი მადლობა ჩემს ანასტასიას თანადგომისა და რწმენისათვის. მისი სიყვარული დამეხმარა როგორც აღნიშნული, ისე სხვა არაერთი გამოწვევის წარმატებით დაძლევაში. გამიმართლა, რომ მყავს ისეთი ადამიანები, რომელთა იმედიც სულ მექნება.

აბსტრაქტი

ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობასთან ბრძოლას სჭირდება სახელმწიფოს მზაობა აამაღლოს უფლებამოსილი პოლიციის თანამშრომლებისა და სხვა სპეციალისტების კვალიფიკაცია და მისცეს მათ რისკების შეფასების ეფექტური ინსტრუმენტი. საქართველოში აღნიშნული ინსტრუმენტი ინტეგრირებულია შემაკავებელი ორდერის ოქმში. შესაბამის კითხვებს პასუხობს მსხვერპლი, ხოლო კითხვების ნაწილზე პასუხის გასაცემად პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომელი ამოწმებს საინფორმაციო სისტემაში განთავსებულ მონაცემებს მოძალადის წარსულის შესახებ, რომელთა საშუალებითაც დგინდება ძალადობის განმეორების რისკები.

კვლევის მიზანია განიხილოს რისკების შეფასების მეთოდები ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის საქმეებზე და შეაფასოს შემაკავებელ ორდერში განხორციელებული ცვლილებები. აღნიშნულის ანალიზით, შესაძლებელია ითქვას აარჩია თუ არა სახელმწიფომ მოცემულ დანაშაულთან საბრძოლველად სწორი პოლიტიკა. პოლიციელთა რეაგირებასთან ერთად მნიშვნელოვანია რისკების შეფასების განხილვა სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპზე, კერძოდ, გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლო განხილვის ეტაპებზე.

კვლევით დადგინდა, რომ განხორციელებულ ცვლილებებამდე კანონი არ ითხოვდა სავალდებულოდ შემაკავებელი ორდერის გამოცემას ისეთ სიტუაციებში, სადაც ობიექტურად სავალდებულო გამოცემა უნდა ყოფილიყო სახეზე. შემაკავებელი ორდერი არ ყოფილა სრულყოფილი და უხარვეზო, აღნიშნულს კი ამყარებს ის გარემოება, რომ ხშირად, როდესაც პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლები არ გამოსცემდნენ შემაკავებელ ორდერს, სასამართლო საჭიროდ თვლიდა დამცავი ორდერის მიღებას.

პოლიციის უფლებამოსილ თანამშრომელს უნდა ჰქონდეს გამართული და ეფექტური რისკის შეფასების ინსტრუმენტი, რათა შემაკავებელი ორდერის გამოცემა მოხდეს სწორად. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 2023 წელს მიღებული ცვლილებები არის

პოზიტიური და პოტენციურად ეფექტური. ჯერ-ჯერობით ეს მხოლოდ ოპტიმისტური ვარაუდია, რომელსაც იმედია სამომავლო პრაქტიკა დაადასტურებს.

საკვანძო სიტყვები: ოჯახში ძალადობა, ქალთა მიმართ ძალადობა, მსხვერპლი, შემაკავებელი ორდერი, რისკების შეფასების ინსტრუმენტი

Abstract

Combating violence against women and/or domestic violence requires the willingness of the state to raise the qualifications of authorized police officers and other specialists and provide them with an effective risk assessment tool. In Georgia, the mentioned instrument is integrated into the restraining order. The relevant questions are answered by the victim, and in order to answer part of the questions, the authorized police officer checks the data about the abuser's past in the information system, through which the risks of repeating the violence are determined.

The purpose of the study is to review risk assessment methods in cases of violence against women and/or domestic violence and to evaluate changes in the Georgian restraining order. By analyzing the above, it is possible to say whether the state has chosen the right policy to fight this crime. Along with police response, it is important to consider risk assessment at different stages of the proceedings, namely at the stages of investigation, criminal prosecution and trial.

The research established that before the changes were made, the law did not require mandatory issuance of a restraining order in situations where objectively mandatory issuance must have been possible. The restraining order was not perfect and flawless. This is supported by the fact that often, when authorized police officers did not issue a restraining order, the court considered it necessary to obtain a protective order.

An authorized police officer must have a sound and effective risk assessment tool in place to properly issue a restraining order. It is noteworthy that the changes adopted in 2023 are positive and potentially effective. For now, this is only an optimistic assumption, which will hopefully be confirmed by future practice.

Key words: Domestic Violence, Violence Towards Women, Victim, Restraining Order, Risk Assessment Tool